



ვერაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი

## საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ შეხვედრა

ოქმი #3

20 ივლისი, 2015 წ.

ქ. თბილისი

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის  
გამჭვირვალობისთვის“ მმართველი კომიტეტის მესამე შეხვედრა გაიმართა  
პარასკევს, 17 ივლისს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფისში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ (ანბანური თანმიმდევრობით):

- ვიქტორ ბარამია - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- ნინო ევგენიძე - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
- ნატა კაკაბაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- ნინო ნაცვლიშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა  
ასოციაცია
- სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- მადონა შილდელაშვილი - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- თამარ ჯულელი - პი ემ სი კვლევითი ცენტრი

შეხვედრას ვერ დაესწრო ამირან გიგინეიშვილი (საქართველოს სასოფლო  
დარბაზი).

შეხვედრაზე პლატფორმის მმართველი კომიტეტის ძირითადი განხილვის  
საგანი იყო მიმდინარე თვის ბოლოსთვის დაგეგმილი საჯარო ფორუმი, რომელზეც  
ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება გაეცნოს პლატფორმის მიზანს,

საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს, და შეიტყოს, თუ რა გზით შეუძლია ჩაერთოს მის მუშაობაში.

როგორც ბატონმა ვიქტორ ბარამიამ განმარტა, ფორუმის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია პლატფორმის წევრების მიერ ერთ ან ორ საკითხზე მოკლე მოხსენებების მომზადება და წარდგენა, რასაც მოჰყვება დისკუსიის გამართვა ფორუმის მონაწილეებს შორის. ამგვარი მოხსენებებით, განხილვებითა და დამსწრეთაგან მიღებული უკუკავშირით გამოიკვეთება ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზე ყურადღების გამახვილებაც პლატფორმის საქმიანობას შესაბამისობაში მოიყვანს საზოგადოების ინტერესსა და მოლოდინთან.

მოხსენების თემებზე მსჯელობის დროს აღინიშნა, რომ აქტუალობასთან ერთად, მნიშვნელოვანია არსებობდეს პლატფორმისთვის შერჩეულ თემაზე მუშაობის გავრძელების შესაძლებლობა, მაგალითად, ადვოკატირების კუთხით. ამ კონტექსტში შეხვედრის მონაწილეებმა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული ისეთი საკითხები დაასახელეს, როგორცაა:

- საბავშვო ბაღებისთვის ბიუჯეტიდან საჭიროზე მეტი თანხის გამოყოფა;
- საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, მათ შორის ანაზღაურება დანამატების სახით;
- გამარტივებული შესყიდვები;
- ბიუჯეტის დაგეგმვა და მაკროეკონომიკური ჩარჩო;
- სახელმწიფო მოხელეთა არასათანადო კვალიფიკაცია და ა.შ.

განხილვის შედეგად საჯარო ფორუმზე წარსადგენი მოხსენებების სავარაუდო თემებად შეირჩა საჯარო მოხელეთა ანაზღაურებისა და პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხები. აღნიშნულ თემებზე მოხსენებებს ბატონი სულხან სალაძე და ქალბატონი ნინო ევგენიძე მოამზადებენ, ფორუმზე წარდგენის შემდეგ კი მოხსენებები აიტვირთება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ვებგვერდზე.

სურვილის შემთხვევაში, შეხვედრის მონაწილეები ბატონ ვიქტორ ბარამიას მიაწოდებენ იმ პირთა თუ ორგანიზაციათა სიას, რომელთა საქმიანობა მოიცავს საჯარო ფინანსების მართვას, ან რომელთა პროფესიული ინტერესების სფერო ემთხვევა ფორუმზე განსახილველ კონკრეტულ საკითხებს.

პირველი საჯარო ფორუმის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 31 ივლისი.

